# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „ 5" იანვარი 2011 წ.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ სსიპ ნიქუზნეთის საჯარო სკოლა (ხელვაჩაურის რ/ნი სოფ ნიქუზნეთი)ანგ.№ **GE71LB0121117471594000** სს „ლიბერთი ბანკი" ხელვაჩაურის ფილიალი, ბ.კ. **LBRTGE22** ს/კ248386795 ტელ:877304227

(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ შპს **"NBE"** (ქ ბათუმი, ინასარიძის 8 ბ-7/8) ანგ. №**GE68BG0000000281567500**, სს „საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი, ბ.კ. **BAGAGE22**, ს.კ. 445390327, ტელ: 4 05 05

(შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

3. **ხელშეკრულების საგანი**

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **სამეურნეო და საკანცელარიო საქონლის შესყიდვა.**

შესყიდვა (**ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით**, ფასთა კოტირების პროცედურაში გამარჯვებულის გამოვლენის შედეგად – ხაზი გაუსვით)

4. **ხელშეკრულების ღირებულება**

4.1. მისაწოდებელი საქონლის (გასაწევი მომსახურების) საერთო ღირებულება შეადგენს
**1000(ერთიათასი)ლარს**

4.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა №3-ის მიხედვით.

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის (გაწეული მომსახურების) ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე). 6 (ექვსი) თვის განმავლობაში

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის (გაწეული მომსახურების) ღირებულება.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. **მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 საქონლის მიწოდებულად (მომსახურება გაწეულად) ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ.

Print to PDF without this message by purchasing novaPDF (http://www.novapdf.com/)